სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/14

ქ. თბილისი 24 აპრილი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 22 აპრილის №0000431175 და 24 აპრილის №0000439972 წერილების, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/77 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 24 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. გაერთიანდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტები და მათ ბაზაზე შეიქმნას სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება და სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე